

მაია ოთიაშვილი

ირინა გიუაპე

2806 სხვა
მუსიკაში

მოსწავლის წიგნი



საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

„თავისუფლება“

ლექსი დავით მაღრაძის

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

ზორბეგი
მუსიკაში

მოსწავლის წიგნი

VIII კლასი

გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
(ბრძანება №375 18.05.2012 წ.)

შემოქმედებითი ჯგუფი:

ავტორი და ჯგუფის ხელმძღვანელი - **მაია ოთიაშვილი**
ავტორი - **ირინა მიძაძე**

ეთნომუსიკოსი - **გარინა ხუსუნაიშვილი**
მუსიკალური რედაქტორი - **ლევან მიზანდარი**
ლიტერატურული რედაქტორი - **თამარ ფაშალიშვილი**
მთავარი რედაქტორი - **ნანა ღვინიანიძე**

მხატვარ-დიზაინერი:

თინათინ მღებრიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მარინა ჯავახიშვილი

მიხეილ ვანაძე

დაკაბადონება:

ზაზა გელაშვილი

კახა ცურცულა

ფონოგრამების ავტორი:

მიხეილ ვანაძე

აუდიო რეჟისორები:

მიხეილ ვანაძე

მიხეილ კილოსანიძე



„წყაროსთვალი“

ტელ: 274 63 69; 227 30 73;
5(99) 76 10 39; 5(99) 30 16 84
ელ-ფოსტა: tskarostvali@gmail.com

© „წყაროსთვალი“ 2012

© მაია ოთიაშვილი

ადრეული მუსიკა

შესავალი



უძველესი ორგანი

ისტორიულ ეპოქას, რომელიც ცვლის უძველეს სამყაროს, შუა საუკუნეებს უწოდებენ. იგი იწყება რომის დაცემის დროიდან და 1000 წელზე მეტხანს გრძელდება. ამ დროის მანძილზე ჩამოყალიბდნენ რიგი ევროპელი ხალხები და სახელმწიფოები, ჩამოყალიბდა ევროპული კულტურის უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისებები. ევროპელთა სულიერი ცხოვრების საფუძველი ქრისტიანობა გახდა. შუა საუკუნეთა ხელოვნება – საეკლესიო არქიტექტურა, ქანდაკება, ხატები, ტაძრების მოზაიკა და ფრესკები

– ქრისტიანული ღვთისმსახურებისთვის იყო განკუთვნილი. რაც შეეხება მუსიკას, მას მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა – იგი უნდა დახმარებოდა მღლოცველს და ევინწყებინა ყოველდღიური საზრუნავი, პირადი განცდები და მთელი ყურადღება საეკლესიო მსახურებისკენ მიემართა. ამ მიზანს ემსახურებოდა საგალობლები, რომელთა მთავარი დამახასიათებელი ნიშანი მრავალი წლის მანძილზე იყო 1-ხმიანობა (მომღერლები ერთად ასრულებდნენ ერთ მელოდიას), ინსტრუმენტული თანხლების გარეშე. ამ საგალობლების შემქმნელთა აზრით, ერთხმიანობა ერთი ღმერთისა და ერთიანი ეკლესიის სიმბოლო იყო. ინსტრუმენტული თანხლება ადამიანურ გრძნობაზე დიდ გავლენას ახდენდა, ამიტომაც ეკლესია გაურბოდა მას. თუმცა, VII საუკუნიდან კათოლიკურ ეკლესიაში მაინც მკვიდრდება — ჯერ ორგანი, შემდეგ კი სხვა საკრავებიც.

ამ დროისათვის საეკლესიო მუსიკა ძირითადად ეკლესია-მონასტრებში იქმნებოდა. საგალობელთა შექმნისას ბერები მკაცრად მისდევდნენ წესებს და ტრადიციებს. ისინი არ მიიჩნევდნენ საკუთარ თავს ავტორებად, რამდენადაც ერთადერთ შემოქმედად ღმერთი მიიჩნეოდა. ამგვარად, ამ დროის მუსიკისთვის დამახასიათებელია ნიშნებია: I – ერთხმიანობა და II – ანონიმურობა.

მხოლოდ XII-XIII ს.ს.-ებიდან მკვიდრდება ევროპულ მუსიკაში მრავალხმიანობა.

XI საუკუნეში იტალიელი ბერის გვიდო არეცოს მიერ გამოგონებულმა დამწერლო-

ბამ შესაძლებელი გახადა მუსიკალური ნაწარმოების ზუსტად ჩანს.

შუა საუკუნეები საინტერესო და თვითმყოფი ეტაპია ხელოვნებასა და კულტურაში. შუა საუკუნეების მუსიკამ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე პროფესიულ ევროპულ მუსიკას და თანდათან მომზადდა შემდგომი ახალი ეპოქა ევროპის ისტორიაში — აღორძინება.

ანისსატის ეკლესია.
თბილისი VII საუკუნეები

მონასტრის განვითარება

ქართული საგალობელი „შენ ხარ ვენახი“
ჯოვანი პალესტრინა. „kyrie“



ძველი რომაელები ლათინურად ლაპარაკობდნენ.
რომის იმპერიის დაცემის შემდეგ (476) ლათინურმა

ენამ თანდათან დაკარგა სალაპარაკო ფუნქციას, მაგრამ შეინარჩუნა არსებობა ტაძრებში. იგი ღვთისმსახურების კუთვნილება გახდა. მისგან ნარმოიშვნენ ე.ნ. რომანული ენები — იტალიური, ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური.



რომანული სტილი არქიტექტურაში

ტურკეთის ქუთხაუ

გაიხსენე და გაიმღერე დო მაჟორი და სოლ მაჟორი პარალელური მინორებით

C-dur



a-moll




ბუნებრივი

a-moll




ჰარმონიული

a-moll




მელოდიური

G-dur




e-moll




ბუნებრივი

e-moll



ჰარმონიული

e-moll



მელოდიური

გადატყიში

ადრეული მუსიკა — ზოგადი ტერმინია, რომელიც ახასიათებს ევროპული კლასიკური ტრადიციების მუსიკას რომის იმპერიის დაცემიდან – 476 წ-დან, ბაროკოს ეპოქის დასრულებამდე, XVIII ს-ის შუა წლებამდე. ამ დიდი დროის მანძილზე მუსიკა თანდათან ვითარდებოდა და მრავალფეროვანი ხდებოდა, მოიცავდა მრავალმხრივ კულტურულ ტრადიციებსა და გეოგრაფიულ სივრცეს. შუა ს.ს-ების ევროპული კულტურისათვის გამაერთიანებელი კი რომაულ-კათოლიკური ეკლესია იყო. მთელი პირველი ათასწლეულის მუსიკალური განვითარება სწორედ მასთან არის დაკავშირებული. ამ პერიოდის არაქრისტიანული მუსიკა მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი.

მუსიკის ისტორიის პერიოდიზაცია: შუა საუკუნეები

რენესანსი	476–1400
ბაროკო	1400–1600
კლასიციზმი	1600–1760
რომანტიზმი	1730–1820
XX საუკუნე	1815–1910
	1900–2000



ც. ბართლომეს ტაძარი.
აგნესა უკრავს ორგანზე
1490-1495წ.

ბიზანტიური მუსიკა



ქ. კონსტანტინოპოლი



ბიზანტიური
მონეტები



IV საუკუნეში, რომის იმპერიის დაყოფის შემდეგ, მის აღმოსავლეთ ნაწილში წარმოიქმნა ბიზანტიის იმპერია. მას აღმოსავლეთ რომის იმპერიასაც უწოდებდნენ, მისი დედაქალაქი კონსტანტინოპოლი იყო.

თავისი არსებობის მანძილზე (IV-XVს.ს.) ბიზანტიამ შექმნა თვითმყოფი მუსიკალური კულტურა, რომელიც განუყოფელია ქრისტიანობისგან. ბიზანტიური მუსიკა IX საუკუნემდე დიდ გავლენას ახდენდა ევროპულ მუსიკალურ ხელოვნებაზე. თითოეული ბიზანტიელისათვის

აუცილებელი იყო ყოველდღიური საეკლესიო ღვთისმსახურება, რომელშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მუსიკა. ბიბლიური გადმოცემის თანახმად, ძველებრაელთა მეფე დავითმა „გაიგონა ზეციური სიმღერა“ და ისინი ადამიანებს გადასცა. ღვთისადმი მიძღვნილი დავითის ფსალმუნები შესულია ქრისტიანულ საეკლესიო მსახურებაშიც. ბიზანტიური საგალობლების ტექსტები არა მხოლოდ ამ ძველი პოეზის ნიმუშებს შეიცავენ, არამედ ქრისტიან პოეტ-პიმნოგრაფთა ტექსტებსაც. პიმნოგრაფიის ადრეული ნიმუშები VI საუკუნიდან გვხვდება, ძირითადი ტექსტები კი VII-IX ს.ს.-ში შეიქმნა, აღმოსავლეთ საერთისტიანოს მსხვილ კულტურულ ცენტრებში.

ბიზანტიაში სანოტო დამწერლობის შექმნამდე (XI ს.), საგალობლები ზეპირსიტყვიერად გადაიცემოდა, შემდეგ კი მათ მგალობელთა საღვთისმსახურო კრებულში განსაკუთრებული ნიშნებით-ნევმებით წერდნენ.

საეკლესიო ჟანრებს შორის აღსანიშნავია კანონი და ტროპარი. კანონი — ბერძნულად ნიშნავს „ნიმუშს“, „წესს“. ეს არის მუსიკალურ-პოეტური კომპოზიცია შემდგარია 9 მონაკვეთისგან. მასში შესულია მონანიების და დიდების თემები. ტროპარი — საეკლესიო საგალობელია, რომელიც ინერებოდა სადღესასწაულო ან საზეიმო მოვლენებისთვის, იგი არ იყო დამოუკიდებელი ნაწარმოები და შედიოდა უფრო მსხვილი ნაწარმოების შემადგენლობაში.

გალობის შემსრულებლებს ადრეულ ბავშვობიდან ზრდიდნენ მონასტრებსა და ტაძრებში, სადაც ასწავლიდნენ დომესტიკას — საგუნდო ხელოვნებას.



მანტენია. დავითი უკრავს არჯაზე

ბიზანტიურმა სასულიერო მუსიკამ დიდი გავლენა მოახდინა მთელი ქრისტიანული სამყაროს, მათ შორის, ქართულ საეკლესიო ღვთისმსახურებაზეც. ეს გავლენა აშკარაა საშემსრულებლო ფორმებზე, თუმცა თავად ქართულ მუსიკაზე — ნაკლებად იგრძნობა. არსებითი განსხვავება ქართულ და ბიზანტიურ მუსიკალურ აზროვნებას შორის ისაა, რომ ბიზანტიური მუსიკა ერთხმიანია, ქართული კი — მრავალხმიანი, თუმცა ქართული სასულიერო მუსიკა თავდაპირველად ბიზანტიურ ტრადიციებს ეყრდნობოდა.



ბიზანტიელი მგალობელი



ბიზანტიაში საეკლესიო მუსიკასთან ერთად, არსებობდა ხალხური მუსიკაც. ეს მუსიკა ტრადიციული წესჩვეულებებისა და დღესასწაულების განუყოფელი ნაწილი იყო.

მუსიკურული განვითარება

1 და 2- ხმიანი ბიზანტიური საგალობლები
ბიზანტიური ინსტრუმენტული მუსიკა




ჰიმნოგრაფია — ბერძ. „himnos“ –
„სადღესასწაულო სიმღერა“, „grafe“ – ვწერ.



ბიზანტიის იმპერატორი
ალექსანდრე I – მოზაიკა

მსოფლიოს საუკეთესო ორგანები





Amapola

Música: José Lacalle


Letra: Luis Roldán

De amor en los hierros de tu reja,
de amor esucho la triste queja,
de amor lejos de mi corazón,
diciéndome así, con su dulce canción:

Amapola, lindísima Amapola,
Será siempre mi alma tuya, sola.
Yo te quiero, amada niña mía,
igual que ama la flor la luz del día.



კადრები
კ/ფილმიდან
„ერთხელ
ამერიკაში“



Amapola, lindísima Amapola,
no seas tan ingrata y ámame.
Amapola, Amapola,
¿cómo puedes tu vivir tan sola?

Al ver en los hierros de tu reja,
de amor el albacín de tu queja,
amor que mi amante corazón
el rojo olvidar una dulce ilusión.

A
M
A
P
O
L
A

ჯ. ლაკალე. „ამაპოლა“
მოუსმინე სიმღერის მინუს ფონოგრამას და იმღერე თვითონ
შუა საუკუნეების ესპანური ინსტრუმენტული მუსიკა



ჯ. ლაკალე იყო ესპანელი კომპოზიტორი, კლარნეტისტი, დირიჟორი და მუსიკის კრიტიკოსი. 1924 წელს დაწერა სიმღერა „ამაპოლა“ – მშენებელი პატარა ყაყაჩო, „რომელიც მიუძღვნა მეუღლეს. 1940 წელს ალბერ გეიმსამა შექმნა სიმღერის ინგლისური ტექსტი. სიმღერა პოპულარული გახდა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მას მღეროდნენ ცნობილი მომღერლები: ლუჩიანო პავაროტი, პლაჩიდო დომინგო, ხოსე კარერასი, ანდრეა ბოჩელი, დინა დურბინი და სხვები.

ჯ. დორსის ბენდმა შექმნა სიმღერის საორკესტრო ვერსია, რომელიც 1941 წლის ჰიტ-პარადებში პირველ ადგილზე გავიდა. 1984 წელს ფილმში „ერთხელ ამერიკაში“ კომპოზიტორმა ე. მორიკონემ სიმღერის საორკესტრო ვერსია გამოიყენა სიყვარულის ლეიტოემად.



ჯოზეფ ლაკალე 1860-1937





შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის მუსიკა

გრიგორისეული საგალობელი

დასავლეთ ევროპის საეკლესიო მუსიკის ტრადიციები IV-V ს. ს.-ებიდან მომდინარეობს. მისი ადრეული ეტაპი დაკავშირებულია ღვთისმეტყველ და წინასწარმეტყველ **მრ. ამბროსი მედიოლანელის** სახელთან (საერთოდ კი შემოღებულ იქნა) საუკუნეში ეგნატე ღმერთმოსილის მიერ, რომელსაც ანგელოზთა გალობის ხილვა ჰქონდა). იგი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც შექმნა საღვთისმეტყველო პიმნები. მან დაამკვიდრა ეკლესიაში სიახლე – გუნდის გაყოფა ორ ჯგუფად – რომელიც საკურთხევლის სხვადასხვა მხარეს არიან განლაგებულნი. ისინი, ლოცვის ტექსტებს შორის, მონაცემებით მღეროდნენ მუსიკალურ ფრაგმენტებს. ასეთ ფრაგმენტებს „ანტიფონებს“ უწოდებდნენ, ხოლო შესრულების ამ ხერხს, რომელიც ორი გუნდის მონაცემებით მიმდინარება, ეწოდება ანტიფონური სიმღერა.



პაპი გრიგოლ I
540-604



გრიგორისეული ქორალი VI-X ს.ს.



თანდათან, უმთავრეს ტექსტებთან ერთად, დამკვიდრდა მკაცრად დაცული ანტიფონები, რომელთა მუსიკა იქმნებოდა უკვე არსებულ და კარგად ნაცნობ მელოდია – გამღერებებზე. ანტიფონებისა და ამ გასამღერო ჰანგების რიცხვი თანდათან ისე გაიზარდა, რომ მომღერლებს მათი ზეპირად დამახსოვრება გაუჭირდათ. ამის გამო, VII ს-დან დაგროვილი მასალა სისტემაში მოიყვანეს და თავი მოუყარეს დიდ კრებულს, რომელსაც „გრიგორისეული ანტიფონარი“ ეწოდა. ეს სახელწოდება დაკავშირებულია რომის პაპის **გრიგოლ I**-ის სახელთან. ეს კრებული გახდა საფუძველი ევროპული საეკლესიო მუსიკის ერთ-ერთი სტილის – გრიგორისეული ქორალის განვითარებისთვის.

გრიგორისეული ქორალები ერთხმიანია. მას ლათინურ ენაზე მამაკაცების ან ბიჭების გუნდი უნისონში ასრულებს, ინსტრუმენტული თანხლების გარეშე. მომღერალთა ხმები ისე უნდა შეერწყან ერთმანეთს, თითქოს ერთი ადამიანი მღერისო. მელოდიაში არ არის ნახტომები, რიტმიც თანაბარზომიერი, მშვიდი, განონასწორებულია. იგი გადმოსცემს მლოცველის შინაგან სიმშვიდეს.

გრიგორისეულ ქორალებში მუსიკა და ტექსტი გარკვეული წესითაა შერწყმული. იგი ორ ხერხს ემყარება. ერთ-ერთი მათგანია **ფსალმოდია**. იგი უძველესი ტრადიციიდან მომდინარეობს. ეს არის ლოცვების გამღერებით კითხვა, რომელიც ფსალმუნების კითხვისას გამოიყენება. ამ დროს ერთ მუსიკალურ ბგერაზე ერთი სიტყვა მოდის (გავიხსენოთ ძვ. ისრაელი).

მეორე ხერხია — **იუბილაცია**, რომელშიც ტექსტის ერთ მარცვალზე რამდენიმე მუსიკალური ბგერა გაიმღერება. ფსალმოდიასთან ერთად ჩამოყალიბდა გალობა — პიმნებიც. შემდგომში იგი საფუძვლად დაედო ევროპული მრავალხმიანობის ადრეულ ფორმებს — **ორგანუმებს**.

მრავალხმიანობის შექმნის პირველი ცდები მიეკუთვნება VII-IX ს. ებს, მაგრამ ნამდვილი მრავალხმიანობა XII ს.-დან ვითარდება.

როდესაც სიკეთეს გვიკეთებენ, მაღლიერების გრძნობით უნდა გვახსოვდეს
იგი; ხოლო თუ ცუდად მოგვექცევიან, სიყვარულმა უნდა დაგვავიწყოს იგი.

მრ. ამბროსი მედიოლანელი



მეტარქოს განვითარება

ანტიფონს — ბერძნ. „ის, რაც საპასუხოდ უდერს!“

Jubilate — ლათ. „მხიარულება, სიხარული“

ქორალი — გემ. Choral — ერთი ან მრავალხმიანი საეკლესიო საგალობელი.

გრიგორისეული საგალობელი — „Ave Maria“



ორგანუმი

ტურქული მანებულებები

ნაწყვეტები შუა საუკუნეების საეკლესიო მუსიკიდან

ნოტების სეკვენცია

დაუკარი და გაიაზრე



DIES IRAE



შუა საუკუნეებში გრიგორისეულ საგალობელთა ჩანერის სპეციალური სისტემა იყო გამომუშავებული. თავდაპირველად, მათ ნევმებით, წერდნენ პირობითი ნიშნებით, რომლებიც აღნიშნავდნენ მელოდიის განვითარების მიმართულებას. ნევმების ჩანაწერი მოგვაგონებდა კონსპექტს, რომელშიც აღნიშნულია მხოლოდ მთავარი, დეტალები კი თავად უნდა სცოდნოდა შემსრულებელს.

გრიგორისეული ქორალის ადრეული ნიმუშები გაშიფრული არ არის.

IX ს-დან, ლეიტისმასურებაში, კანონიზირებულ გრიგორისეულ ქორალთან ერთად, გაჩნდა ე.ნ. ჰიმნები. ჰიმნებთან ერთად, საეკლესიო წიაღში, ნელ-ნელა, ხალხური მელოდიების ახალი ფორმებიც მკვიდრდება. მაგ. სეკვენციები (sequere — მიყოლა, მიმდევარი) — იმპროვიზაციული ხასიათის პოეტური ჩანართი-ეპიზოდები. მისი პირველი ავტორი შვეიცარიელი ბერი ნოტკერია. ცხოვრება ვითარდებოდა და ერთფეროვან ფორმებს გამოცოცხლება სჭირდებოდა. ამას თავად ეკლესიის მსახურნიც გრძნობდნენ. ამიტომ გარკვეულ პერიოდში მცირეოდენ დათმობაზე წავიდნენ, და ეს შექმნა სწორედ სეკვენაციას. დაკანონებული საგალობლის დასრულების შემდეგ „სოლისტს“ უფლება მიეცა შეესრულებინა ნებისმიერი იმპროვიზაცია სიტყვებზე „ალილუია, ოსანა, ამენ“. მომლერლისთვის ეს წამახალისებელი სტიმული იყო. ეს იყო საკმაოდ მიმზიდველი ვოკალიზი, ხმოვან ასოებზე აგებული ვირტუოზული ტექნიკით და მდიდარი მელიზმატიკით გამორჩეული ვოკალური მელოდიები. სეკვენციების კვალდაკვალ ვითარდება ტროპები — ლოცვის ძირითადი საგალობლების დამატებითი ტექსტი და მუსიკა.

*Habitate deo uniuersitate tua sublata
te deo uniuersitate
ta psalmum dicte' no minie aus
yentie claustrce et narrabo uob omnes
quanta fecit dominus tunc
misi alle luia:*

ადრეული ნევმური დამნერლობა



სანოტო დამწერლობა

ადამიანები უძველესი დროიდან ცდილობდნენ თაობებისთვის შემოენახათ მუსიკა, რისთვისაც მელოდიის ჩანერა აუცილებელი იყო. ნოტების ჩანერას, ანუ ნოტაციის მოხერხებული და ზუსტი სისტემის შექმნას, მრავალი ასწლეული დასჭირდა. ძველ საბერძნეთში მუსიკალურ ბერძნული ანბანის ასოებით აღნიშნავდნენ. ბერძნები მუსიკალურ ბერათა რიგის საფეხურებს ანბანის ამა თუ იმ ასოთი გამოხატავდნენ, მაგრამ რიტმულ ნიშნებს ყოველთვის არ ამატებდნენ. ამ ნოტაციის გაშიფრვა მეცნიერებმა მხოლოდ XIX ს-ში მოახერხეს. შუა საუკუნეებში, ევროპაში ასოთი ნოტაცია თითქმის მივიწყებული იყო. ამიტომ მუსიკოსები დამხმარე ნიშნებს, ერთგვარ მინიშნებებს იყენებდნენ. ეს სპეციალური ნიშნები – ნევმები იყო. ისინი მოგვაგონებენ პატარა ხაზებს, წერტილებსა და მძიმეებს. საქართველოშიც ნევმებს იყენებდნენ. მაგრამ ყველა ეს ნიშანი არც მთლად მოხერხებული იყო. მაგ; ნევმები იწერებოდა ტექსტის ზემოდან. საქართველოში კი სტრიქონს ზევით და ქვევით. ისინი აღნიშნავდა ცალკეული ბერის ან ბერძნების მცირე ჯგუფებს და მომღერალს მიანიშნებდნენ, თუ როგორ უნდა ემოძრავა მელოდიას. ეს მინიშნებები მხოლოდ მაშინ ეხმარებოდა მომღერალს, თუ მან მელოდია ზეპირად იცოდა. ასე ზეპირად გადასცემდნენ ადამიანები მუსიკას თაობიდან თაობას.

Hymnus.

U T que- ant laxis resoná-re fi-bris Mi- ra gestó-


rum fámu-li tu- ó rum, Sol-ve pollú- ti lá-bi- i re- á-

tum, Sancte Jo- án-nes.

გვიდო არეცოს ჰიმნი



შუა საუკუნეებში მუსიკა ძირითადად ეკლესიაში ისწავლებოდა და ამით ღვთისმსახურები და ბერები იყვნენ დაკავებულნი. ერთ-ერთმა მათგანმა, გენიალური ხერხი გამოიგონა – მან ფურცელზე გაავლო ხაზი, რომელზედაც ერთი სიმაღლის ნევმები დახატა. ეს ხაზი წითელი იყო. შემდგომ სხვამ ამ ერთ ხაზს დაემატა II – ამჯერად ყვითელი ხაზი, რომელიც სხვა სიმაღლის ბერას აღნიშნავდა. III და IV ხაზი კი XI ს-ში, იტალიელმა ბერმა გვიდო არეცომ (გვიდო არეცოდან) გაავლო. მან ნოტაციის ახალი ხერხი გამოიგონა. იგი ბიჭუნებს მონასტერში სიმღერას ასწავლიდა და უნდოდა, რომ მათ საგალობლები ადვილად დაემახსოვრებინათ. გვიდომ ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაცილებული ოთხი პარალელური ხაზი გაავლო. ნევმები უკვე ხაზებზე და მათ შორის განლაგდნენ, რაც ბევრად ზუსტად და დაწვრილებით გამოხატავდა ბერის სიმაღლეს.



გვიდო არეცო 992-10506.

ახალი ნოტაციის შექმნის შესახებ ხმები, როგორც რაღაც სასწაულის შესახებ, ისე გავრცელდა და რომის პაპი იოანე XIX-ს კარამდეც მიაღწია.

ამგვარად, XI ს-ის დასაწყისში, მუსიკოსმა და თეორეტიკოსმა გვიდო არეცომ გადატრიალება მოახდინა ჩანსერის სისტემაში. 4-ხაზიანი სისტემა გახდა წინა სახე თანამედროვე სანოტო დამწერლობისა, რომელიც ემყარება ხუთ ხაზს. თითქმის ამავდროულად გაჩნდა ძირითადი ბერების – Ut, Re, Mi, Fa, Sol, La – დასახელებაც. ეს იყო საწყისი მარცვლები მოციქული იოანესადმი მიძღვნილი ლათინური ჰიმნისა, რომელიც შექმნა ბერმა პავლე დიაკონმა. იოანე საეკლესიო გალობის მფარველად ითვლებოდა.

მოგვიანებით, მარცვალი Ut შეიცვალა „Do“-თი და გაჩნდა კიდევ ერთი ბერის სახელიც – Si სიტყვათშეთანხმებიდან Sancta Iohanne „წმინდა იოანე“.

ამ დროიდან მთელს მსოფლიოში მუსიკის ჩასაწერად ნოტებს იყენებენ.



გვიდო არეცოს საფლავის ქვა



გვიდო არეცოს ხელი სანოტო ხაზებითა და სანოტო ნიშნებით, რითაც ის ასწავლიდა თავის მონაფეებს საგალობლებს.

მუსიკოსის განვითარება

გვიდო არეცო. წმინდა იოანესადმი მიძღვნილი ჰიმნი. შუა საუკუნეების იტალიური მუსიკა მოუსმინე და გაიაზრე



ნევმა — ბერძნ. pneuma ნიშნავს სუნთქვას უხაზი ნოტაციის ნიშნები. გვხვდება ძვ. ცივილიზაციებში — ეგვიპტე, ინდოეთი, პალესტინა, სირია, სპარსეთი.

ნოტი — ლათ. note ნიშნავს „ნიშანს“, „აღნიშვნას“.

გვიდო არეცოს ჰიმნი


ut qu - eant la - xis
re - so - na - re fi - bris
mi - - ra ge - sto - rum
fa mu - li tu - o - rum
sol - - ve pol - lu - ti
la - bi - i re - a - tum
san - cte Jo - ha - nnes.

გადაწერე და გაიმღერე გვიდო არეცოს ჰიმნი

როგორ იქცნენ ნევმები ნოტებად

/	■ ■	♪ . ♪.
.	■ ♦	♪ . ♪.
↗ (-/.)	■	♪
↙ (-·/)	■	♪
↙ (-··/)	■■	♪♪
↖ (-/-/)	■■	♪♪
/.	■■	♪♪
:	■	♪♪
—/—/	■	♪♪

■	□	
■	□	
■	□	
♦	◊	
♦	◊	○
♦	◊	◊
♦	◊	◊
♦	◊	◊
♦	◊	◊



ნოტრ დამი

როგორ განვითარდა მრავალხმიანობა

ნოტაციის სრულყოფასთან ერთად, თანდათანობით სანოტო ხელნაწერების უფრო ზუსტი წაკითხვა გახდა შესაძლებელი. ნოტაციის გამოგონება დაკავშირებულია და ემთხვევა მრავალხმიანობის განვითარების დასაწყისს – რაც ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპია მუსიკის ისტორიაში.

უძველეს დროში და შუა საუკუნეებშიც, დიდი ხნის მანძილზე, მუსიკა ერთხმიანი იყო. მომღერალი სიმღერას ასრულებდა და იმავე მელოდიას საკრავზე უკრავდა. ზოგჯერ მომღერლის ხმა და საკრავი არ ემთხვეოდა ერთმანეთს, შემდეგ კი კვლავ ერთიანდებოდა. ამგვარად, ხანდახან 2-ხმიანობის ელემენტები ჩრდებოდა. **IX-X საუკუნეების** მიჯნაზე მრავალხმიანობა თანდათან იწყებს განვითარებას და შემდგომში, პროფესიულ მუსიკაში,

კერძოდ კათოლიკურ ეკლესიაში. თავდაპირველად, როცა ერთი ან რამდენიმე მომღერალი ერთად ასრულებდა გრიგორისეული ქორალის ნელ, მშვიდ მელოდიას, Ⅱ ხმა მას იგივე რიტმში მკაცრად პარალელური მოძრაობებით ოქტავაში, კვარტის ან კვინტის

დაცილებით მოსდევდა. ასეთი ორხმიანობა ჩვენთვის ახლა მარტივი ჟღერადობისაა, მაგრამ საუკუნეთა წინ, ასეთი სიმღერა ადამიანებს აღაფრთოვანებდა და მუსიკისთვის ახალ გამომსახველ საშუალებებს ხსნიდა. თავდაპირველად გაჩნდა ასეთი მარტივი **ორხმიანი ქორალები** — **ორგანუმები**. ორხმიანი ორგანუმების საუკეთესო შემქმნელად და „ორგანუმების დიდი წიგნის“ შემდგენელად ითვლება ფრანგი მუსიკოსი **ლეონინი**.

საეკლესიო მუსიკაში, თანდათან, უფრო მეტად გამომსახველი ხდება მეორე ხმის მოძრაობა. მოვიანებით კი, სიმღერა-გალობა



ლეონინი 1163-1201

3, 4 და უფრო მეტხმიანიც ხდება. ასეთი 3-4-ხმიანი საგალობლები შექმნა XIII ს-ში ეკლესიის მუსიკოსმა **პერტინიმ**. მისი საგალობლები პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში – ნოტრ-დამში ჟღერდა, სადაც დაარსდა კიდეც სამომღერლო სკოლა **ნოტრ-დამი**. შუა საუკუნეების გოთიკური არქიტექტურის ეს შესანიშნავი ძეგლი აღნერა XIX ს-ის ფრანგმა მწერალმა ვ. ჰიუგომ თავის სახელგანთქმულ რომანში „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“...

ასე დაიწყო განვითარება **პოლიფონიამ**. ბერძნულად იგი მრავალხმიანობას ნიშნავს. ეს ისეთი მრავალხმიანობაა, სადაც ერთდროულად ჟღერს თანაბარი, ერთნაირი მნიშვნელობის ორი ან მეტი ხმა.

საეკლესიო მრავალახმიანობის განვითარებასთან ერთად, ჩნდება ახალი მუსიკალური ჟანრები – **კონდუქტი** და **მოტეტი**.

დროთა განმავლობაში, მრავალხმიანი სიმღერის თანხლებისთვის, საკრავების გამოყენებაც დაიწყებს. ფრანგი კომპოზიტორის **გიორგ დე მაშოს** შემოქმედებაში ვოკალი ზოგჯერ მთავარ ხმას ასრულებდა, დანარჩენი ხმები კი ინსტრუმენტული იყო. მისი ოთხხმიანი მესა პირველი საავტორო პოლიფონიური მესაა მუსიკის ისტორიაში.



პერტინიმი. ორგანუმის ხელნაწერი ალელუა



გიორგ დე მაშო 1300-1377



გიომ დე მაშოს სანოტო ხელნაწერი



კონდუქტი (ლათ. conductus

- „წამყვანი“) სასულიერო და

საერო შინაარსის ნაწარმოებებია, რომლებიც სადღე-
სასწაულო სვლებისა და პროცესებისთვისაა განკუთვნი-
ლი. ტექსტები ლათინურად იწერებოდა.

მოტეტი (ფრანგულად motet, mot-დან - „სიტყვა“) –
თითოეულ ხმას შეესაბამებოდა თავისი ტექსტი. ხანდა-
ხან ტექსტები ხმებისთვის სხვადასხვა ენებზეც კი იწე-
რებოდა. მოტეტებიც საეკლესიო და საერო მუსიკაში
გვხვდება.

მესა — სასულიერო მუსიკის ნაწარმოები გუნდის,
ზოგჯერ სოლისტი — მომღერლების მონაწილეობით და
ინსტრუმენტული თანხლებით. სრულდება კათოლიკურ ეკლესიაში, ლათინურ ენაზე.
„Ite missa est ecclesia“ — „წადით, შეკრება დასრულებულია“. ამ სიტყვებით ქრისტია-
ნობის გარიურაჟზე, ღვთისმსახურების წინ ეკლესიიდან ითხოვდნენ მათ, ვინც ჯერ
კიდევ გამოცდას გადიოდა. ეკლესიაში მხოლოდ თემში მიღებულები რჩებოდნენ. მესა
სხვადასხვა სახისაა: ყოველდღიური — ordinarium, სამგლოვიარო — Requiem, სადღე-
სასწაულო — solemnis.



გაუდენციო ფერარი.
წმ. სესილია და წმ. მარგარიტა

ორგანუმი — ლათინურად Organum იარაღს, ინსტრუმენტს ნიშნა-
ვს. კათოლიკურ ეკლესიაში — ორხმიანი საგალობელია.



ა. დიურერი.
მესაყვირე და მედოლე

შემაურჩები განვითარეთ

პეროტინის ორგანუმი
გიომ დე მაშო. კანცონა

ალელუია

გაიმღერე გრიგორისეული ქორალი



შუა საუკუნეების საკრავები



კრუმშაიტი

შუა საუკუნეებში სხვადასხვა საკრავი იყო გავრცელებული. მათ შორის — ხის ჩასაბერები: კრუმპორნი (გერმ. Krummhorn — „მრუდე რქა“) და შალმე (ბერძნ. „Calamos“ - „ლერნამი“).

კრუმპორნები XI საუკუნეში გაჩნდა. საკრავის გრძელი ხის ტარი კაუჭივით მოღუნულია, ხოლო სწორ ტანზე ნახვრეტები აქვს თითებისათვის. ნახვრეტებზე თითის დაჭერისას შემსრულებელი ცვლის ბგერის სიმარლლეს. ბგერა კი გამოიცემოდა სპეციალური მოწყობილობის-ტროსტის მეშვეობით(ლერნმის პატარა მოგრძო ფირფიტა). კრუმპორნებში ერთდროულად ორ ფირფიტას იყენებდნენ. საკრავის დიაპაზონი დიდი არ იყო, ოქტავაზე ოდნავ მეტი. მალე კრუმპორნების მთელი ოჯახი გაჩნდა: თითოეული საკრავი განსაზღვრულ რეგისტრში უდერდა. სხვა ჩასაბერთაგან განსხვავებით, კრუმპორნების ულერადობა რპილი იყო, მათზე ლირიკულ მუსიკას ასრულებდნენ.



კრუმპორნი

შალმე — შეიქმნა XIII საუკუნეში, აგებულებით გავს კრუმპორნებს, ზედა მხარეს აქვს ე.წ. „პირუეტი“ (რაც თანამედროვე საქსოფონს მოგვაგონებს). აქვს რვა ნახვრეტი, ერთი მათგანი სარქველით იხურება. მოგვიანებით სარქველები გამოიყენეს სხვა ჩასაბერ საკრავებშიც. შალმეის მკვეთრი და მულერი ხმა აქვს, მისი დაბალი ბგერებიც კი საკმაოდ ხმამაღალი და გამჭოლია.



შალმე



განივი ფლეიტები

დიდი პოპულარობით სარგებლობდა სხვდასხვა რეგისტრის განივი და სიგრძივი ფლეიტები. განივი ფლეიტებისგან განსხვავებით, იგი ვერტიკალურად ეჭირათ. ფლეიტებში ტროსტი არ გამოიყენება, ამიტომ ისინი უფრო ჩუმად უდერს, ვიდრე სხვა ჩასაბერები, მაგრამ მათი ტემპი საოცრად ნაზიად და მდიდარი ელფერი აქვს.

XI საუკუნიდან ცნობილია ტრუმშაიტი (გერმანულად Trumme — „საყვირი“, Scheit — „ლერნ“).

სიმებიან-ხემიან საკრავებს შორის გავრცელებული იყო რებეკი და ფიდელი. მათ აქვთ 2-5 სიმი, მაგრამ ფიდელს უფრო მრგვალი



კელტური არფა

კორპუსი აქვს, მსხალს მოგვაგონებს, რებეკი კი უფრო მოგრძო ფორმისაა.


ხემიან საკრავთა გარდა, გავრცელებული იყო სიმებიანი არფა და ციტრა.

შუა საუკუნეების არფა ჰეგავს თანამედროვეს, მაგრამ ზომით პატარაა.

ციტრა გავს სწორულებულ ფორმას, რომელსაც ცალ მხარეს სიმები აქვს. სიმების გადასაჭიმად ხმარობდნენ გრიფს — („სახელური, ტარი“) ხის ფირფიტას, რომელიც დაყოფილია ლადებად. აქვს 30-40 სიმი, მათგან 4-5 ლითონისაა, დანარჩენი ძუის. შემოვიდა XII-XII სს-ში, პოპულარული გახდა XV-XVI საუკუნეებში.



რებეკი



ციტრა

შუა საუკუნეების მელოდია კელტურ არფაზე



რა არის დიაპაზონი, რეგისტრი, ტემპი.



GAUDEMUS IGITUR

Christian Wilhelm Kindleben (1748-1785)

Gaudeamus igitur
Iuvenes dum sumus.
Post iucundam iuventutem
Post molestam senectutem
Nos habebit humus.

Ubi sunt qui ante nos
In mundo fuere?
Vadite ad superos
Transite in inferos
Hos si vis videre.

Vivat academia!
Vivant professores!
Vivat membrum quodlibet;
Vivant membra quaelibet;
Semper sint in flore.



იოჰანეს ოკეგემი. 1410-1497

Gaudeamus igitur – სტუდენტური სიმღერა-პიმნია ლათინურ ენაზე. Gaudeamus — გაუდეამუს — ლათინურად ნიშნავს — „მოდი, ვიმხიარულოთ“. ეს სიმღერა დაიბადა XIII-XIV ს-ში, სავარაუდოდ, ჰაიდელბერგის ან პარიზის უნივერსიტეტში. ამ პიმნს ვინმე სებასტიან ბრანტი 1267 წელს მოიხსენიებს „Gaudeamus igitur“-ის სახელწოდებით. „გაუდეამუსი“ ვაგანტების სუფრული უანრის სიმღერებიდან მომდინარეობს. ვაგანტები შუასაუკუნეების მოხეტიალე მუსიკოსები არიან, რომელთა შორის იყვნენ სტუდენტები.

საუკუნეთა მანძილზე სიმღერა ზეპირად გადაიცემოდა, რის გამოც მისი მრავალი ვარიანტი არსებობს. ნაბეჭდი სახით პირველად მხოლოდ 1776 წელს გაჩნდა. 1781 წელს კი მოხეტიალე მწერალმა ქინდლებენმა მისცა ის ფორმა, რომელიც დღემდე შენარჩუნებული, ხოლო სიმღერის ცნობილი მოტივი სავარაუდოდ XV ს-ის კომპოზიტორმა იოჰანეს ოკეგემმა დაამკვიდრა.

ეს სიმღერა სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებში გახდა პოპულარული. იგი ხოტბას ასხამს სიცოცხლეს, ახალგაზრდობასა და მეცნიერებას („გავიხაროთ, ვიმხიარულოთ, სანამ ახალგაზრდები ვართ“...). „Gaudeamus“ გამოყენებული აქვთ სხვადასხვა კომპოზიტორებს, მაგ; ლისტს, ბრამს და სხვ. გერმანელმა კომპოზიტორმა პუმპერდინკმა კი გერმანელი სტუდენტების შესახებ დაწერა ოპერა „გაუდეამუსი“.

GAUDEMUS IGITUR

„Gaudeamus igitur“ - მოუსმინე და იმღერე თვითონ




ოურციდიან ეთევა

ნაწყვეტები შუა საუკუნეების საერო მუსიკიდან

გადაწერე, დაუკარი და აღნიშნე მერვედი გრძლიობის ნოტები
ესპანური სიმღერა



შპილმანის მეღოდია



სუფრული სიმღერა



რონდო



შპილმანი გერმანული სიტყვაა – შუა საუკუნეების მოხეტიალე მუსიკოსი

შუა საუკუნეების საერო მუსიკა



ბალადა არფის თანხლებით

შუა საუკუნეებში, საეკლესიო პროფესიული მუსიკის განვითარებასთან ერთად, ვითარდება საერო პროფესიული მუსიკაც. მისი ჟანრები და ფორმები უმეტესად ხალხურ ტრადიციებზე აღმოცენდა. ხალხურ მუსიკას ხშირად ასრულებდნენ ქალაქებში მოხეტიალე მსახიობები. ისინი ერთდროულად იყვნენ მუსიკოსები, მოცეკვავები, პანტომიმის ოსტატები, აკრობატები, გაითამაშებდნენ სხვადასხვა სცენებს, მონაწილეობას იღებდნენ თეატრალიზებულ წარმოდგენებში, რომლებიც პირდაპირ ქუჩებსა და მოედნებზე იმართებოდა.

ასეთი წარმოდგენები იყო მისტერიები, საკარნავალო და მხიარული „ხუმარათა წარმოდგენები“ და სხვა. ეკლესია ასეთ ქმედებებს მეტად ფრთხილად ეკიდებოდა, რადგან შიშობდა, ასეთ წადმოდგენებს ადამიანებში ზედმეტი, ზღვარგადასული გრძნობები არ გამოეწვია.

XII-XIIIს. ს.-ებში პროფესიული საერო მუსიკის აყვავება დაკავშირებულია რაინდულ კულტურასთან – შუა საუკუნეების სამხედრო არისტოკრატიის ხელოვნებასთან. რაინდები დიდ დროს ატარებდნენ ლაშქრობებში, ბრძოლებსა და სხვადასხვა შეჯიბრებში. ბევრ მათგანს უყვარდა პოეზია და მუსიკა. სწორედ ასეთი რაინდები გახდნენ პირველი კომპოზიტორები. ისინი ცხოვრობდნენ სამხრეთ საფრანგეთში, პროვანსში, XI საუკუნეში. მათ **ტრუბადურებს** ეძახდნენ. ისინი წერდნენ ლექსებს და მუსიკას ამ ლექსებისთვის, ხოლო მათი მსახურები – **მენესტრელები** თავიანთი ბატონების სიმღერებს მღეროდნენ.



ტრუბადური ქუდით

ტრუბადურები სწავლობდნენ არა მხოლოდ პოეზიას და მუსიკას, არამედ ზოგადად კარგი ქცევისა და მანდილოსნებთან თავაზიანი მოქცევის წესებს. მათ უნდა სცოდნოდათ ყველაფერი, რაც მათ გარშემო ხდებოდა, გაეგოთ სამეფო კარზე მომხდარი ამბები, ექსპრომტად შეეთხათ ლექსები, სცოდნოდათ დაკვრა ორ საკრავზე მაინც.

ტრუბადურები და მენესტრელები მოგზაურობდნენ მთელს ქვეყანაში. თავიანთ სიმღერებს მშვენიერ ქალბატონებს უძღვნიდნენ. ამიტომ მათი შემოქმედების მთავარი თემა იყო ამაღლებული სიყვარული. ისინი ქმნიდნენ მარტივ და ყველასთვის გასაგებ სიმღერებს, რომლებშიც აღწერდნენ ასევე ბრძოლის სცენებს, უმღეროდნენ მშობლიური ბუნების სილამაზეს. ტრუბადურთა ზოგიერთ სიმღერას დღესაც მღერიან საფრანგეთში.

ტრუბადურები ხშირად სიმღერებს XIIს-ის ეპიკური პოემის („სიმღერა როლანდზე“) ტექსტებზე წერდნენ, რომელიც მოგვითხრობს კარლოს დიდის ლაშქრობებზე და მისი ერთგული რაინდის — როლანდის ტრაგიკულ ბედზე.



ტრუბადური

სოფლის ცხოვრების იდილიურ სურათზე მოგვითხრობენ სიმღერები — ნაზი **პასტურელები**. მათ საფუძველზე მოგვიანებით შეიქმნა პასტორალი — ნაწარმოები, რომელიც გადმოსცემს ადამიანის კავშირს ბუნებასთან.

ტრუბადურებისგან განსხვავებით, **ტრუვერები** ახლოს იყვნენ ქალაქისა და ხალხის ცხოვრებასთან, მათი შემოქმედება უფრო დემოკრატიული იყო.

ფრანგ ტრუბადურებს გერმანული რაინდული პოეზიის და მუსიკის წარმომადგენლები **მინეზინგერები** ჰქვანან. განსაკუთრებით პოპულარულები იყვნენ XII-XIII საუკუნეებში ვოლფრამ ფონ ეშენბახი და ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდი. 1207 წელს ქალაქ ვალტბურგში მათი შეჯიბრიც კი მოეწყო. მოგვიანებით,



ტრუბადური

ეს ამბავი საფუძვლად დაედო რაინდული ლიტერატურისა და მუსიკის არაერთ ნაწარმოებს. ამ შეჯიბრზე მოგვითხრობს ვაგნერის ოპერა „ტანკოიზერიც“.

მინეზინგერთა შემოქმედების მთავარი თემაც სიყვარულია, მაგრამ მათი მუსიკა უფრო მკაცრია, ზოგჯერ პირუშიც კი. მათ მუსიკაში უფრო მეტია ფიქრი და განსჯა, ვიდრე მგზნებარე გრძნობები, მელოდიები გვხიბლავს უბრალოებითა და ლაკონურობით, სულიერი სილრმით, რითაც საეკლესიო ნაწარმოებებს უტოლდება.

მინეზინგერები XIV საუკუნიდან **მაისტერზინგერება** შეცვალეს.

შუა საუკუნეების მუსიკაში

ცალკე ჯგუფია **კელტთა მუსიკა**. კელტების კარის მუსიკოსები იყვნენ **ბარდები**, რომლებიც ასრულებდნენ გმირულ სატირულ, საბრძოლო სიმღერებს და ბალადებს, სიმებიანი საკრავის — კროტის თანხლებით.

ძალზე დიდია რაინდული ხელოვნების მნიშვნელობა ევროპული კულტურისთვის. მან დიდი გავლენა იქონია არა მხოლოდ მხატვრული შემოქმედების ფორმირებაზე, არამედ გრძნობათა კულტურაზეც. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ აღორძინების ხანის იტალიელი პოეტები — დანტე, პეტრარკა — საკუთარ თავებს ტრუბადურთა მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ. XVIIIს-ში ეს დავიწყებული ხელოვნება ააღორძინეს რომანტიკოსებმა. მაგ; ნოვალისმა. ტრუბადურების ხელოვნება იტაცებდა პუშკინს და ჰაინეს...




მინეზინგერები

მსახურები განვითარება

გუდასტვირების მუსიკა.

XIII საუკუნის გერმანული სიმღერა — ტრუბადურები



ტრუბადური — მოდის გამოთქმიდან art de trobas — „შექმნის ხელოვნება“, შეიძლება ვთარგმნოთ როგორც „გამოგონებელი“, „შემთხვეველი“. ტრუბადურების მუსიკა განიცდიდა ხალხური შემოქმედების გავლენას, მაგრამ უფრო ფაქიზი, ჰაეროვანი, მშვიდი და ნატიფია.

ტრუვერი — ახლოსაა მნიშვნელობით სიტყვასთან „ტრუბადური“, მაგრამ წარმოშობილია ძვ. ფრანგული ზმნიდან „trouver“ რაც ნიშნავს — „პოვნა“, „გამოგონება“, „შეთხვა“.

პასტორალი — ფრ. pastourelle — „მწყემსი ქალი“

მენესტრელი — ლათ. ministrialis — დიდებულის კარზე მომსახურე

მინეზინგერი — გერმ. minnesinger — „სიყვარულის მომღერალი“, იგივეა რაც საფრანგეთში ტრუბადური

მაისტერზინგერი — გერმ. meistersinger — სიმღერის ოსტატი — XIV-XVI ს. ს.-ების გერმანიაში პოეტი და მომღერალი

ბარდი — ინგლ. bard — უძველეს კელტურ ტომებში — სახალხო მომღერალი





არჩილ კერესელიძე

ჩემი ქვეყნის ბუნება

მუსიკა: არჩილ კერესელიძის

ო რა კარგია ჩემი ქვეყნის ბუნება,
როცა მაისის სიო გეჩურჩულება.

ისე იფურჩქნებიან ია-ვარდები
რომ არ გიუგარდე ვფიცავ, შეგიუგარდები


ნეტავ სად არის მხარე ულამაზესი
თბილი და წმინდა როგორც დედის ალერსი

ისე იფურჩქნებიან ია-ვარდები
რომ არ გიუგარდე ვფიცავ, შეგიუგარდები

მუსიკოსი გამოცემა

არჩილ კერესელიძე.

სიმღერა ქართული მხატვრული ფილმიდან „ორი ოჯახი“ 1958წ.
მოუსმინე სიმღერის მინუს ფონოგრამას და იმღერე თვითონ.



კადრები ფილმიდან
„ორი ოჯახი“ 1958წ.



ქართული მუსიკის ისტორიიდან

პ. ჩაიკოვსკიმ 1887-89 წლებში საქართველოში – თბილისა და ბორჯომში იმოგზაურა. აქ დაწერა მან სიმფონიური სუიტა „მოცარტინა“, ბალეტი „მძინარე მზეთუნახავი“ და მუშაობდა ოპერაზე „პიკის ქალი“.

ქართველ კომპოზიტორთაგან ყველაზე მეტი – რვა ოპერა – დაწერა ა. ანდრიაშვილმა — (1904-1992), ექვსი — ო. თაქთაქიშვილმა (1924-1989).

გამოჩენილმა ქართველმა რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა 1928 წლის 16 მარტს დადგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „ლატავრა“.

ანა თულაშვილი (1874-1956) არის პირველი ქართველი პროფესიონალი პიანისტი ქალი.

1904 წელს კოჯორში დაიბადა გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორი არამ ხაჩატურიანი.

ალოიზ მიზანდარის (1838-1912) რომანსი „ჩვენ დავშორდით“ ქართული მუსიკის პირველი დაბეჭდილი ნაწარმოებია, რომელიც გამოიცა პეტერბურგში 1863 წელს.

ცნობილმა რუსმა კომპოზიტორმა და პედაგოგმა ს. ტანეევმა 1885 წელს პირველმა ჩაინერა ქართული ხალხური სიმღერები.

მიხეილ ნანობაშვილი — მიშელ დარიალი (1878-1941) ქართველი მომღერალი, რომელიც 1908-24 წლებში პარიზის გრანდ-ოპერის სოლისტი იყო.





მიქელანჯელო. სიქსტის კაპელა
ადამის შექმნა

რენესანსი

XV-XVI სს-ში ევროპის ქვეყნებში კულტურამ და მეცნიერებამ განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ეს არის აღორძინების ხანა, ანუ რენესანსი. ამ ეპოქის შემოქმედთათვის მთავარი, ძირითადი პრინციპი ჰქონის მიზანი და ჰარმონიულობაა. მათ აინტერესები ადამიანის პიროვნება და ისწრაფვიან ახლებურად შეიცნონ სამყარო.

აღორძინების ხანა ერთ-ერთი საუკეთესოა კაცობრიობის ისტორიაში. მან შეცვალა შუა საუკუნეების ხანგრძლივი ეპოქა და უდიდესი გავლენა მოახდინა კულტურის მთელ შემდგომ განვითარებაზე. ევროპაში აღორძინების ხანა დაიწყო XIV საუკუნეში, იტალიაში. XV საუკუნის II ნახევრიდან ფართოდ მოიცვა დასავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნები, განვითარების უმაღლეს მწვერვალს კი XVI საუკუნეში მიაღწია. აღსანიშნავია, რომ საქართველოში რენესანსი უფრო ადრე, XII საუკუნეში დაიწყო დავით აღმაშენებლის ეპოქაში.



რომი. პეტრეს ტაძარი

შუა საუკუნეებში განვითარდა სავაჭრო ურთიერთობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის, რასაც ხელი შეუწყო დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, მოგზაურებმა ვასკო და გამამ, მაგელანმა, რომელმაც პირველმა შემოუარა დედამიწას. კოლუმბმა კი 1492 წელს ამერიკის კონტინენტი აღმოაჩინა. განვითარდა ასტრონომია. ჯორდანო ბრუნომ პირველმა გამოთქვა თავისუფალი აზრი იმის შესახებ, რომ დედამიწა მრგვალია და ის მზის გარშემო ბრუნავს.

ამ პერიოდში განვითარდა ხელოვნების ისეთი დარგები, როგორიცაა ქანდაკება, არქიტექტურა, მოზაიკა და, განსაკუთრებით, ფერწერა.



იან ვან ეკი.
ანგელოზი უკრავს ორგანზე

სიუჟეტებზე ქმნიდნენ, მაგრამ ამ ტიპის ნაწარმოებებში მთავარი, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანი და მისი პიროვნული თვისებები იყო. რელიგიურ სიუჟეტებში მხატვრებს მინიერი, საერო შინაარსი შექმნდათ.



მიქელანჯელო.
ავტოპორტრეტი

იტალიურ რენესანსში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ფერწერის ვენეციურ სკოლას: ჯოტო, ტინტორენტო, ტიციანი, ვერონეზე. როდესაც ვიხსენებთ კაცობრიობის ისტორიის ამ საოცარ დროს და მის წარმომადგენლებს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მიქელანჯელო – მოქანდაკე, ფერმწერი, პოეტი, არქიტექტორი, მრავალმხრივი შემოქმედი, რომლის მონუმენტური შედევრები „დავითი“, „პიეტა“, „მოსე“ ვატიკანში, „მინდა პეტრეს ტაძარი“ რომში, მთელს მსოფლიოშია ცნობილი.

ამ ეპოქის კიდევ ერთი დიდი წარმომადგენელია ლეონარდო და ვინჩი, მეცნიერების თითქმის ყველა დარგში გარკვეული ადამიანი, უდიდესი ფერმწერი. თვითონ ლეონარდო ფერწერას ხელოვნების

დარგებს შორის უპირველესად თვლიდა. მისი „საიდუმლო სერობა“, „მადონა ლიტა“, „მადონა ყვავილით“, „ანგიარის ბრძოლა“, „ჯოკონდას იდუმალი ლიმილი“ დღემდე ხიბლავს და აოცებს მსოფლიოს. ლეონარდო იყო პოეტი, მუსიკოსი, ასტრონომი, ფიზიკოსი, არქიტექტორი, ექიმი.

ამავე ხანაში აღორძინდა მუსიკალური ხელოვნებაც. მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა იტალიაში ორი სკოლა – რომის — პალეს-



მიქელანჯელო. „პიეტა“





უოსკენ დეპრე

ტრინას მეთაურობით და ვენეციის — **გაბრიელის** ხელმძღვანელობით. მათი დრამატული **მადრიგალები** იტალიური ოპერის უშუალო წინამორბედია. მადრიგალებს ჰქონდათ ლიბრეტო, მოქმედი პირები, მაგრამ ჯერ არ იყო სოლო არიები და რეჩიტატივები. XV-XVI ს-ებში ევროპის მუსიკალურ ცხოვრებაზე დიდი გავლენა იქონია ნიდერლანდების პოლიფონიურმა სკოლამ. ამ სკოლის ხელოვანთა შორის გამოირჩევიან **გიომ დიუფაი**, **იოჰანეს ოკეგემი**, **უოსკენ დეპრე**, **ორლანდო ლასო** და სხვა. მუსიკალური ხელოვნება ვითარდება ასევე ესპანეთში, საფრანგეთში, ინგლისში, პოლონეთში. ამ პერიოდში საფუძველი ეყრება ისეთ ჟანრს, როგორიცაა ოპერა.



ორლანდო ლასო

საერო მუსიკაში ვითარდება სხვადასხვა ვოკალური და ინსტრუმენტული ჟანრები: კანცონა, შანსონი, ბალადა... ძლიერდება ინტერესი ხალხური სასიმღერო-საცეკვაო ჟანრებისადმი, კეთილხმოვანი და ბუნებრივი მელოდიებისადმი. სწორედ აღორძინების ხანაში იძენს სრულ დამოუკიდებლობას ინსტრუმენტული მუსიკა. გავრცელებული საკრავებია: ლიუტნა (ბარბითი), ორგანი, კლავესინი და მათი ნაირსახეობები. XVI საუკუნის ბოლოს კი სავიოლინო ნაწარმოებები შეიქმნა. გავრცელდა საოჯახო მუზიციორების ფორმები. განვითარდა მუსიკის თეორია, შეიქმნა მუსიკალურ-თეორიული ტრაქტატები.



ჯოვანი პალესტრინა

უოსკენ დეპრე. „პავანა“
ა. გაბრიელი. „დავითის ფსალმუნები“
ორლანდო ლასო. „ალელუია“
ჯოვანი პალესტრინა. აგნეს დეი,
აღორძინების ხანის იტალიური სიმღერა



ანდრეა და ჯოვანი გაბრიელის
სიმღერების კრებულის სატიტულო
გვერდი ვენეცია 1587.



მადრიგალი — იტ. Madrigale — აღორძინების ეპოქის საერო მუსიკალურ-პოეტური ჟანრი მომდინარეობს ძველი იტალიური მწყემსური სიმღერებიდან. XIV ს-ში პროფესიულ მუსიკაში ლირიკური შინაარსის კუპლეტური ფორმის 2-3-ხმიანი სიმღერაა.



ლეონარდო და ვინჩი.
ავტოპორტრეტი

კრებული ინტორნიშტუი

ლეონარდო და ვინჩი ცნობილი მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი, მათემატიკოსი, გეოლოგი, გამომგონებელი, ინჟინერი და ამავე დროს მუსიკოსიც იყო. შესანიშნავად უკრავდა ბარბითზე და მღეროდა. თავადაც ასწავლიდა სიმღერის ხელოვნებას. იგი იყო პირველი, ვინც შეისწავლა ვოკალური ხელოვნების ბუნება, გამოიკვლია სასუნთქი არგანოების, ტურნების, ყბების, პირის ღრუსა და კბილების როლი მღერის პროცესში. ყოველივე ეს აღწერილია 1516 წელს დაწერილ ტრაქტატში, რომელიც საკმაოდ გვიან გახდა ცნობილი შთამომავლებისთვის.



ლეონარდო და ვინჩი. საიდუმლო სერიბა

შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“

დასაწყისი

რომელმან შექმნა საძყარო ძალითა მით ძლიერითა,
 ზექარდო არსენი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
 ტვენ, კაცთა, მოგვა ქვეფანა, გვქვეს უთვალავი ფერითა,
 მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.



თამარ მეფე

ჟეღმერით ერთო, შენ შეპქენ სახე ყოვლისა ჭანისა,
 შენ დამიფარე, ძლევა მეც დათოგუნვად მე საჭანისა,
 მომეც მიჯნერთა სურვილი, სიკვდილე გასაჭანისა,
 ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასაჭანისა.

ვის შექნის, — ლომსა, — ხმარება შებისა, ფარ—შიმერისა,
 — მეფისა შეის თამარისა, ღარე—ბალახშ, თმა—გიმერისა,—
 ჩას, არა ვიცი, შევპარო შესხმა ხოჭბისა შერისა?
 მისთა მჭკრეტყვლთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ მიშერისა.

თამარს ვაწებდეთ ქეთესა სისხლისა ცრემლ—დათხელი,
 ვთქვენი ქეხნი ვისნი მე არ—ვად გამორჩეული.
 ბეჭდად ვიხმარე გიმრის ჭიბა და კალად მე ნა ჩეული,
 ვინცა ისმინთს, დაესვას ლახვარი გულსა ხეჭლი.

შიბრძანეს მათად, საწებრად თქმა ლექსებისა ჭკბილისა,
 ქება წარბთა და წამრამთა, თმათა და ბატე—კბილისა,
 ბროლ—ბალახშისა თლილისა, მის მიჯრით მიწყობილისა.
 გასტეს ქვასაცა მაგარისა გვრდემლი ჭყვისა ლბილისა.



მუსიკურის განვითარება

პ. ჩაიკოვსკი. საფორტეპიანო კონცერტი №1, I ნაწილი
 რ. ვაგნერი. ოპერა „ტანკოზერი“ — უვერტურა
 მუსიკის ფონზე წაიკითხეთ შოთა რუსთაველის პოემა
 „ვეფხისტყაოსანის“ ნაწყვეტი და გამოავლინეთ საუკეთესო

შოთა რუსთაველის ფრესკა.
 იერუსალიმი, ჯვრის მონასტერი



ქართული გალობა



ი. ჯავახიშვილი

სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონაში“ განმარტავს: „**გალობა არს ხმა ანგელოზთადმი მიმსგავსებული**“. გალობა ღვთის სადიდებელი ლოცვაა.

მსოფლიოს ყველა ქრისტიანულ ეკლესიას საკუთარი, ორიგინალური საგალობლები აქვს, რომელთა შორისაც ერთ-ერთი გამორჩეული და ღირსეული ადგილი ქართულ ტრადიციულ გალობას უკავია.

ქართული საეკლესიო გალობის ისტორია ათეულ საუკუნეებს ითვლის. ქრისტიანობის დამკვიდრების პირველ ხანაში ღვთისმსახურება ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა. გალობაც ბერძნული იყო — ერთხმიანი. ახალი რელიგიის დასამკვიდრებლად აუცილებელი გახდა ღვთისმსახურების მშობლიურ ენაზე წარმართვა.

ქართული ქრისტიანული საგალობელი ქართული ხალხური ადგილობრივი მუსიკალური ტრადიციებიდან აღმოცენდა. ქართველი მეცნიერების ვარაუდით, მრავალხმიანი გალობა VII-VIII საუკუნეებიდან უნდა დამკვიდრებულიყო, რაც გასაკვირი არც არის, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართველთა მუსიკალური აზროვნება მრავალხმიანობის ფენომენს ეყრდნობა.

VII-VIII საუკუნეებიდან ეკლესია-მონასტრებთან უკვე სამგალობო სკოლები და მგალობელთა გუნდები ყალიბდება. ამ პერიოდშივე შეიქმნა მოძღვრება გალობის სწავლების შესახებ, რომელსაც „**ხმით სასწავლელი სწავლაი**“ ეწოდებოდა. გაჩნდა პროფესიონალი მუსიკოსის მოთხოვნილება, რომელიც სასულიერო ტექსტებზე მუსიკის შექმნას, ე.ი „ხმის დადებას“ შეძლებდა. სამეფო და საეკლესიო კარზე შეიქმნა „მგალობელთუხუცესის“, „გალობის მოძღვრის“, „მწიგნობარმგალობლის“, „მთავარმგალობლის“, „გალობის წინამდღვრის თანანმდებობები“.

მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებული
977-988 წ.

ქართული სასულიერო მნერლობისა და მუსიკის აღმა-

ლობა გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეთა სახელებთან იყო დაკავშირებული. ისტორიამ შემოგვინახა მათი სახელები: **იოანე საბანისძე, იოანე მინჩხისი, გრიგოლ ხანძთელი, იოანე ზოსიმე, გიორგი მერჩულე, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელები, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და სხვ.** მათ შორის გამორჩეული ადგილი X საუკუნის მოღვაწეს **მიქაელ მოდრეკილს** უკავია, რომლის მიერ შედგენილი კრებული სამგალობო ნიშნებით ანუ ნევმებით არის შემკული. ჯერჯერობით, მუსიკალური დამწერლობის ეს სისტემა გაშიფრული არ არის, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამავე პერიოდში სხვა ქვეყნებში არსებული მუსიკალური ნიშნებისაგან ქართული ნევმები განსხვავებული და თვითმყოფადია.

ქართული ნევმები.
ჭილ-ეტრატის იადგარი, X ს.

საქართველოს ისტორიის მძიმე პერიოდებში დამპყრობთა გამუდმებული შემოსევების შედეგად, ქართული კულტურის, კერძოდ საეკლესიო მუსიკის განვითარება მნიშვნელოვნად ფერხდებოდა. ნადგურდებოდა სამგალობო კრებულები, დავიწყებას მიეცა მუსიკალური დამწერლობა, აღარ ფუნქციონირებდა ეკლესია-მონასტრებთან არსებული სამგალობო სკოლები. მდგომარეობა, განსაკუთრებით, XIX და XX საუკუნეებში დამძიმდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველოს ეკლესიას ჩამოერთვა ავტოკეფალია და მისი მართვა რუს ეგზარქოსებს გადაეცათ. მათი პრძანებით, აიკრძალა ეკლესიებში მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარება. გალობა რუსულ ყაიდაზე წარმართეს. ქართული გალობა დავიწყების, გაქრობის საფრთხის წინაშე დადგა. ძალზე შემცირდა გალობის მცოდნეთა რიცხვი.





ძმები კარბელაშვილები

განსაკუთრებით მძიმე ხანა, ქართულ გალობას, საბჭოთა პერიოდში დაუდგა. დაინგრა ეკლესია-მონასტრები, დევნიდნენ საეკლესიო პირებს, მათ შორის, გალობის მცოდნეთ.


საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კვლავ დაიწყო ქართული საეკლესიო გალობის აღორძინების პროცესი და ქართულ ტაძრებში კვლავ ისმის ქართული ტრადიციული საგალობელი.

XIX ს-ის 80-იან და XX ს-ის 10-იან წლებში,

ცნობილმა ქართველმა საერო და სასულიერო მოღვაწებმა — ფილიმონ ქორიძემ, ძმებმა კარბელაშვილებმა, ექვთიმე კერესელიძემ საგალობლები ნოტებზე გადაიტანეს. მოღვაწეობა საკმაოდ რთულ პირობებში უხდებოდათ. რომ არა მათი რწმენა და თავდადება, ქართველი ერის უნიკალური მუსიკალური საუნჯე ჩვენამდე ვერ მოაღწევდა. შემორჩენილია იმ ცნობილ მგალობელთა ვინაობა, რომელთა გვარ-სახელებით მოიხსენიება

სხვადასხვა სამგალობო სკოლის კილოები. მაგალითად: კარბელანთ კილო, ჭალაგანიძის კილო, კანდელაკიანთ გალობა, დუმბაძის კილო და სხვ.

კარბელაშვილების გვარი თითქმის სამი საუკუნის მანძილზე, თაობიდან თაობას გადასცემდა გალობის ცოდნასა და ტრადიციას. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის კრების გადაწყვეტილებით, ექვთიმე კერესელიძე, ფილიმონ ქორიძე და ძმები კარბელაშვილები წმინდანებად შერაცხეს.



ფილიმონ ქორიძე

ქართული მუსიკის ისტორიის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის გამოჩენილ ქართველ მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს, მისი კვლევები მოცემულია ნაშრომში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, რომელიც 1938 წელს გამოსცა.



ექვთიმე აღმსარებელი (კერესელიძე)



საგალობელი „წმიდაო ღმერთო“.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
წმიდა ნინოს ტროპარი

მუსიკურის გარემონტი

ფილიმონ ქორიძის მიერ
გამოცემული საგალობელის
პირველი კრებულის ყდა. 1895

ნმიდაო ღმერთო

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

ნმი - და - ო ღმე - რთო, ნმი - და - ო ძლი - ე - რო, ნმი - და - ო უ - კვდა - ვო,

<p>1, 2.</p> <p>შე - გვი - ნყა - ლენ ჩვენ.</p>	<p>3.</p> <p>შე - გვი - ნყა - ლენ ჩვენ.</p>
--	---

I ხას

ნმი - და - ო ღმე - რთო, ნმი - და - ო ძლი - ე - რო, ნმი - და - ო უ - კვდა - ვო,

<p>1, 2.</p> <p>შე - გვი - ნყა - ლენ ჩვენ.</p>	<p>3.</p> <p>შე - გვი - ნყა - ლენ ჩვენ.</p>
--	---

II ხას

ნმი - და - ო ღმე - რთო, ნმი - და - ო ძლი - ე რო, ნმი - და - ო უ - კვდავო,

<p>1, 2.</p> <p>შე - გვი - ნყა - ლენ ჩვენ.</p>	<p>3.</p> <p>შე - გვი - ნყა - ლენ ჩვენ.</p>
--	---

ბანი

ნმი - და - ო ღმე - რთო, ნმი - და - ო ძლი - ე რო, ნმი - და - ო უ - კვდა - ვო,

<p>1.</p> <p>შე - გვი - ნყა - ლენ ჩვენ.</p>	<p>2.</p> <p>შე - გვი - ნყა - ლენ ჩვენ.</p>
---	---

ადრეული მუსიკა შესავალი	3
ბიზანტიური მუსიკა	5
ამაპოლა	7
შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის მუსიკა	8
სანოტო დამწერლობა	10
როგორ განვითარდა მრავალხმიანობა	13
შუა საუკუნეების საკრავები	15
„Gaudeamus igitur“	16
შუა საუკუნეების საერო მუსიკა	18
ჩემი ქვეყნის ბუნება	20
რენესანსი	21
შემოქმედებითი ტესტი – დასაწყისი	23
ქართული გალობა	24
ინგლისური ბალადა	28
შოპენის ბალადა	30
თოვლი მოდის	32
ოპერის წარმოშობა	33
პირველი ოპერა	34
ვენეციური ოპერა	35
ნეაპოლური ოპერა	36
ფრანგული ოპერა	37
Mamma	38
ინგლისური ოპერა	39
საოპერო რეფორმა	42
რიპარდ ვაგნერი	45
ვაგნერის საოპერო რეფორმა	47
ზაქარია ფალიაშვილი	48
ჩემო კარგო ქვეყანავ	50
ქართლი	51
კახეთი	55
მესხეთი	56
რაჭა	57
ლეჩეუმი	59
სვანეთი	60
სამეგრელო	61
მერი დავითაშვილი	62
ჰერიო ბიჭებო	63
ხალხური მუსიკა კომპოზიტორთა შემოქმედებაში	65
ბაროკო	67
ანტონიო ვივალდი	68
გეორგ ჰენდელი	69
ორატორია „მესია“	70
იოჰან სებასტიან ბახი	71
ი.ს.ბახის საკლავირო შემოქმედება	72
Hallelujah	74
მენუეტი	75
ჟორჟ ბიზე	79
Can't buy me love, love	82
იგორ სტრავინსკი	83
ალექსი მაჭავარიანი	87
ბულბულო ნაზო	88
არნოლდ შონბერგი	89
მუსამბაზი თბილისს	90
Happy new year	91
კვარტა-კვინტური წრე	92
Finale 2008	97